

საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის
2009 წლის 31 ივლისის N 1604 – რს დადგენილებით

**შეიარაღებული კონფლიქტის დროს
კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ
ჰააგის 1954 წლის კონვენციის მეორე ოქმი
ჰააგა, 1999 წლის 26 მაისი**

მხარეები,

აცნობიერებენ რა შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და გაძლიერებული დაცვის სისტემის შექმნის საჭიროებას სპეციალურად მითითებული კულტურული ფასეულობებისთვის;

ადასტურებენ რა შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ მემკვიდრობათა დაცვის შესახებ ჰააგის 1954 წლის 14 მაისის კონვენციის დებულებების მნიშვნელობას და ხაზს უსვამენ რა ამ დებულებათა განხორციელების მიზნით შესაბამისი ზომების გატარების აუცილებლობას;

აქვთ რა სურვილი, შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს მისცენ უფრო აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა კულტურულ ფასეულობათა დაცვის სფეროში, შესაბამისი პროცედურების შემუშავების გზით;

მიაჩნიათ რა, რომ შეიარაღებულ კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების მარეგულირებელი წესები შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის ნორმებთან;

ადასტურებენ რა, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები კვლავაც გამოყენებული იქნება იმ საკითხთა რეგულირების მიზნით, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ოქმით;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი 1 – შესავალი

მუხლი 1 – განსაზღვრებები

წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის:

- a) „მხარე“ ნიშნავს წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოს;
- b) „კულტურული ფასეულობა“ ნიშნავს კულტურული ღირებულების მქონე ქონებას, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის პირველ მუხლში;
- c) „კონვენცია“ ნიშნავს შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ ჰააგის 1954 წლის 14 მაისის კონვენციას;
- d) „მაღალი ხელშემკვრელი მხარე“ ნიშნავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მხარეს;
- e) „გაძლიერებული დაცვა“ ნიშნავს მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული გაძლიერებული დაცვის სისტემას;
- f) „სამხედრო ობიექტი“ ნიშნავს ობიექტს, რომელიც თავისი ხასიათით, ადგილმდებარეობით, დანიშნულებით ან გამოყენების თვალსაზრისით ეფექტურად უწყობს ხელს საომარი ოპერაციების ჩატარებას და რომლის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურება, დაკავება ან ნეიტრალიზება, მოცემულ პირობებში, უზრუნველყოფს კონკრეტულ სამხედრო უპირატესობას;
- g) „უკანონო“ მხარე ნიშნავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის ან საერთაშორისო სამართლის იძულებით ან სხვა ფორმით დარღვევას;
- h) „ნუსხა“ ნიშნავს გაძლიერებული დაცვის ქვეშ არსებული კულტურული ფასეულობების საერთაშორისო ნუსხას, რომელიც შემუშავებულია 27-ე მუხლის 1(b) ქვეპუნქტის შესაბამისად;
- i) „გენერალური დირექტორი“ ნიშნავს UNESCO-ს გენერალურ დირექტორს;
- j) „UNESCO“ ნიშნავს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას;

k) “პირველი ოქმი” ნიშნავს შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ ჰააგის 1954 წლის 14 მაისის ოქმს;

მუხლი 2 – მიმართება კონვენციასთან

წინამდებარე ოქმი ავსებს კონვენციას მხარეთა შორის არსებული ურთიერთობების რეგულირების მიზნით.

მუხლი 3 – მოქმედების ფარგლები

1. გარდა იმ დებულებებისა, რომლებიც მოქმედებს მშვიდობის პერიოდში, წინამდებარე ოქმი გამოიყენება კონვენციის მე-18 მუხლის 1 და მე-2 პუნქტებით და 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. იმ შემთხვევაში, თუ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარეზე არ ვრცელდება ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებები, ოქმის მონაწილე მხარეები ამ ვალდებულებებს შეასრულებენ ერთმანეთთან ურთიერთობებში. ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება მათ დაეკისრებათ ასევე კონფლიქტის მონაწილე იმ სახელმწიფო მხარესთან მიმართებაში, რომელიც არ არის შეზღუდული ოქმის ვალდებულებებით, მაგრამ აღიარებს ოქმის დებულებებს და იყენებს მათ.

მუხლი 4 – ურთიერთმიმართება კონვენციის მე-3 თავისა და სხვა დებულებებს და წინამდებარე ოქმს შორის

ამ ოქმის მე-3 თავის დებულებების გამოყენება არ ზღუდავს:

a) კონვენციის პირველი თავისა და ოქმის მე-2 თავის დებულებების გამოყენებას;

b) კონვენციის მე-2 თავის დებულებების გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ოქმის მხარეებს ან მხარესა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელიც აღიარებს და იყენებს ამ ოქმს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კულტურულ ფასეულობებთან მიმართებაში, რომელზედაც ვრცელდება როგორც სპეციალური ისე გაძლიერებული დაცვის სისტემა, გამოიყენება მხოლოდ გაძლიერებული დაცვის დებულებები.

თავი 2 – დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

მუხლი 5 – კულტურული ფასეულობების დაცვა

კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლო შედეგებისაგან კულტურული ფასეულობების დაცვის მიზნით, მშვიდობიანობის პერიოდში მიღებული წინასწარი ზომები მოიცავს ინვენტარიზაციას, გადაუდებელი ზომების დაგეგმვას ან შენობის კარკასის ჩამონგრევის შემთხვევაში, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას მოძრავი კულტურული ფასეულობების გატანის ან ადეკვატური ზომების გატარებას ასეთი ქონების ადგილზე დაცვის მიზნით, და კულტურული ფასეულობების დაცვაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოების დანიშვნას.

მუხლი 6 – კულტურული ფასეულობების პატივისცემა

კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად კულტურულ ფასეულობათა პატივისცემის მიზნით:

a. კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი წესი, რომელიც მოქმედებს იმპერატიული სამხედრო აუცილებლობების შემთხვევაში, გამოიყენება საომარი მოქმედების განხორციელების მიზნით კულტურული ფასეულობების წინააღმდეგ თუ

i. კულტურული ფასეულობა გადაკეთდა სამხედრო ობიექტად; და

- ii. ამ ობიექტის წინააღმდეგ საომარი მოქმედების განხორციელების გარეშე შეუძლებელია იმავე მნიშვნელობის სამხედრო შედეგების მიღება.
- b. კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი წესი, რომელიც მოქმედებს იმპერატიული სამხედრო აუცილებლობის შემთხვევაში, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ იმ მოქმედების განხორციელების გარეშე, რომელიც ზიანის ან განადგურების საფრთხეს უქმნის კულტურულ ფასეულობებს, შეუძლებელია იმავე მნიშვნელობის სამხედრო შედეგის მიღწევა;
- c. იმპერატიული სამხედრო აუცილებლობის არსებობას ადგენს მხოლოდ ბატალიონის სიდიდის ან უფრო დიდი ზომის სამხედრო შენაერთის სარდალი, ან, თუ არსებულ სიტუაციაში სხვაგვარად შეუძლებელია, უფრო მცირე ზომის შენაერთის უფროსი.
- d. (a) ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეტევის განხორციელების შემთხვევაში, იერიშის მიტანის შესახებ გაფრთხილება უნდა გაკეთდეს მამინვე, როგორც კი ამის შესაძლებლობა შეიქმნება.

მუხლი 7 – სიფრთხილის ზომები შეტევის განხორციელების დროს

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული სიფრთხილის სხვა ზომების შეუზღუდავად, რომლებიც გამოიყენება საომარი მოქმედებების შემთხვევაში, კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე:

- a. მიიღებს ყველა ზომას რათა შემოწმდეს, რომ ის ობიექტები, რომლებზეც დაგეგმილია შეტევის განხორციელება, არ წარმოადგენს კულტურულ ფასეულობას კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად;
- b. მიიღებს სიფრთხილის ყველა ზომას შეტევის განხორციელების საშუალებებისა და მეთოდების შერჩევის დროს, რათა თავიდან იქნას აცილებული, ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი კონვენციის მე-4 მუხლით განსაზღვრული კულტურულ ფასეულობათა შემთხვევითი ზიანის მიყენება;
- c. თავს შეიკავებს ისეთი შეტევის განხორციელებისაგან, რომელსაც შეუძლია შემთხვევითი ზიანი მიაყენოს კონვენციის მე-4 მუხლით განსაზღვრულ კულტურულ ფასეულობებს, თუ ეს ზიანი თავისი მოცულობით მკვეთრად აღემატება შეტევით მიღწეულ კონკრეტულ შედეგს; და
- d. გააუქმებს ან შეწყვეტს შეტევას, თუ ცხადი გახდება, რომ:
 - i. შეტევის ობიექტი წარმოადგენს კონვენციის მე-4 მუხლით დაცულ კულტურულ ფასეულობას;
 - ii. შეტევის განხორციელების შედეგად შესაძლოა შემთხვევითი ზიანი მიადგეს კონვენციის მე-4 მუხლით დაცულ კულტურულ ფასეულობას, და ეს ზიანი აღემატება მოსალოდნელ პირდაპირ და კონკრეტულ საომარ უპირატესობას.

მუხლი 8 – საომარ მოქმედებათა შედეგების თავიდან ასაცილებლად მიღებული სიფრთხილის ზომები

კონფლიქტის მონაწილე მხარეები, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში:

- a. განარიდებენ მოძრავ კულტურულ ფასეულობებს სამხედრო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიიდან ან უზრუნველყოფენ ამ ქონების ადეკვატურ დაცვას ადგილზე;
- b. არ განათავსებენ სამხედრო ობიექტებს კულტურული ფასეულობის ახლოს.

მუხლი 9 – კულტურულ ფასეულობათა დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე

1. კონვენციის მე-4 და მე-5 მუხლების დებულებათა შეუზღუდავად, ის მხარე, რომელსაც დაპყრობილი აქვს მეორე მხარის ტერიტორია მთლიანად ან ნაწილობრივ, აკრძალავს ან აღკვეთს ოკუპირებულ ტერიტორიაზე:

- a. კულტურულ ფასეულობათა უკანონო ექსპორტს, სხვა სახით გატანას ან ასეთ ქონებაზე მფლობელობის უფლების გადაცემას;
- b. ნებისმიერი სახის არქეოლოგიურ გათხრებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გათხრების წარმოება აუცილებელია კულტურული ფასეულობის დაცვის ან შენარჩუნების მიზნით;

c. ცვლილების შეტანას კულტურულ ფასეულობაში ან მის დანიშნულებაში, რაც მიზნად ისახავს კულტურული, ისტორიული ან სამეცნიერო მონაცემების დამალვას ან განადგურებას.

2. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის არქეოლოგიური გათხრა, ასევე ცვლილების შეტანა კულტურულ ფასეულობაში ან მის დანიშნულებაში განხორციელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შექმნილი მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა.

თავი 3 – გაძლიერებული დაცვა

მუხლი 10 – გაძლიერებული დაცვა

კულტურულ ფასეულობებზე შესაძლებელია გავრცელდეს გაძლიერებული დაცვის რეჟიმი, იმ შემთხვევაში თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

a. წარმოადგენს კაცობრიობისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურული ფასეულობის მქონე მემკვიდრეობას;

b. აღიარებულია განსაკუთრებული კულტურული და ისტორიული ღირებულების მქონე ქონებად შიდა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ნორმების შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ქონების მაღალ დონეზე დაცვას;

c. არ გამოიყენება სამხედრო მიზნებისათვის ან სამხედრო ობიექტების დაფარვის მიზნით და არსებობს შესაბამისი მხარის განცხადება, რომელიც ანხორციელებს კონტროლს კულტურულ ფასეულობებზე, რომ ეს ქონება არ იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნით.

მუხლი 11 – გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მინიჭება

1. თითოეულმა მხარემ კომიტეტს უნდა წარუდგინოს კულტურულ ფასეულობათა ნუსხა, რომელთან დაკავშირებითაც იგი აპირებს განაცხადის შეტანას გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მოთხოვნით.

2. მხარეს, რომელიც ახორციელებს იურისდიქციას ან კონტროლს კულტურულ ფასეულობებზე, შეუძლია მოითხოვოს ამ ქონების შეტანა 27-ე მუხლის 1(b) ქვეპუნქტის შესაბამისად შედგენილ ნუსხაში. ეს მოთხოვნა უნდა შეიცავდეს ყველა სახის აუცილებელ ინფორმაციას მე-10 მუხლში მითითებულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით. კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს მხარეს, რათა მან წარმოადგინოს მოთხოვნა კულტურული ფასეულობის ნუსხაში შეტანის შესახებ.

3. სხვა მხარეებს, ლურჯი ფარის საერთაშორისო ორგანიზაციას და შესაბამისი გამოცდილების მქონე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ კომიტეტს წარუდგინონ რეკომენდაცია კულტურულ ფასეულობათა ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს მხარეს, რათა მან წარადგინოს მოთხოვნა კულტურული ფასეულობის ნუსხაში შეტანის მიზნით.

4. იმ ქონების ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით წარდგენილი მოთხოვნა, რომელიც განთავსებულია იმ ტერიტორიაზე, სადაც სუვერენიტეტის ან იურისდიქციის განხორციელების პრეტენზიას აცხადებს ერთზე მეტი სახელმწიფო, და არც ამგვარი ქონების ნუსხაში შეტანა არანაირად არ ზღუდავს დავაში მონაწილე მხარეების უფლებებს.

5. კულტურულ ფასეულობათა ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებული მოთხოვნის მიღებისთანავე, კომიტეტი ამ მოთხოვნის შესახებ აცნობებს ყველა მხარეს. აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით მხარეებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებები წარუდგინონ კომიტეტს სამოცი დღის განმავლობაში. ეს მოსაზრებები უნდა ეფუძნებოდეს მე-10 მუხლში მითითებულ კრიტერიუმებს. ისინი უნდა იყოს კონკრეტული ხასიათის და ასახავდეს ფაქტებს. კომიტეტი განიხილავს მოსაზრებებს და გადაწყვეტილების გამოტანამდე მოთხოვნის წარმდგენ მხარეს მისცემს საპასუხო მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობას. კომიტეტისათვის მოსაზრებების წარდგენის შემთხვევაში, გადაწყვეტილებები ქონების ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით, მიუხედავად 26-ე მუხლის დებულებებისა, მიიღება სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე წევრების ოთხი-მეხუთედის

უმრავლესობით.

6. მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომიტეტმა რჩევისათვის უნდა მიმართოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე ცალკეულ ექსპერტებს.

7. გადაწყვეტილება გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მინიჭებასთან დაკავშირებით მიიღება მე-10 მუხლში მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე.

8. თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ ქონების ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებული მოთხოვნის წარმდგენი მხარე ვერ აკმაყოფილებს მე-10 მუხლის (b) ქვეპუნქტში მითითებულ კრიტერიუმებს, კომიტეტს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მინიჭებასთან დაკავშირებით, იმ პირობით თუ მოთხოვნის წარმდგენი მხარე შეიტანს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნას 32-ე მუხლის შესაბამისად.

9. საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, კონფლიქტის მონაწილე მხარეს შეუძლია მოითხოვოს გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მინიჭება მისი იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ არსებული კულტურული ფასეულობებისათვის. ამ მოთხოვნის კომიტეტისათვის წარდგენის გზით. კომიტეტი მოთხოვნას დაუყოვნებლივ გაუგზავნის კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს. ასეთ შემთხვევაში კომიტეტი მხარეებისაგან მიღებულ მოსაზრებებს განიხილავს დაჩქარებული წესით. მიუხედავად 26-ე მუხლის დებულებებისა, გადაწყვეტილება გაძლიერებული დაცვის დროებითი რეჟიმის მინიჭებასთან დაკავშირებით მიიღება შეძლებისდაგვარად სწრაფად, სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების ოთხი-მეხუთედის უმრავლესობით. გაძლიერებული დაცვის დროებითი რეჟიმის მინიჭებას ანხორციელებს კომიტეტი გაძლიერებული დაცვის მინიჭებისათვის დადგენილი ჩვეულებრივი პროცედურების დასრულებამდე, იმ პირობით თუ შესრულდება მე-10 მუხლის (a) და (c) ქვეპუნქტების პირობები.

10. კულტურული ფასეულობებისთვის გაძლიერებული დაცვის დროებითი რეჟიმის მინიჭებას კომიტეტი ანხორციელებს ასეთი ქონების ნუსხაში შეტანისთანავე.

11. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ გაუგზავნის გაეროს გენერალურ მდივანს და ყველა მხარეს შეტყობინებას კომიტეტის მიერ კულტურული ფასეულობის ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 12 – კულტურულ ფასეულობათა იმუნიტეტი გაძლიერებული დაცვის რეჟიმის პირობებში

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ კულტურულ ფასეულობათა იმუნიტეტის დაცვას გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მოქმედების პირობებში, კერძოდ, ისინი თავს შეიკავებენ ასეთი სახის ქონებაზე საომარი შეტევების განხორციელებისა და საომარ ოპერაციებში ასეთი ქონების ან მისი მიმდებარე ტერიტორიის გამოყენებისაგან.

მუხლი 13 – გაძლიერებული დაცვის რეჟიმის გაუქმება

1. გაძლიერებული დაცვის რეჟიმი კულტურულ ფასეულობათა მიმართ შეწყვეტს მოქმედებას მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

a. თუ გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მოქმედება შეჩერდა ან ეს რეჟიმი გაუქმდა მე-14 მუხლის შესაბამისად; ან

b. თუ ქონება გადაიქცა საომარი მოქმედებების ობიექტად.

2. 1(b) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასეთი ქონება შესაძლებელია იქცეს სამხედრო შეტევის ობიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში:

a. თუ შეტევის განხორციელება წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას იმისათვის, რომ შეწყდეს 1(b) ქვეპუნქტში მითითებული ქონების გამოყენება;

b. თუ შეტევის განხორციელების საშუალებებისა და მეთოდების შერჩევისას მიღებულ იქნა ყველა სახის სიფრთხილის ზომა, კულტურულ ფასეულობათა გამოყენების შეწყვეტის და მისი დაზიანების თავიდან აცილების ან ამ ზიანის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;

c. თუ გადაუდებელი დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებული მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა:

- i. შეტევის ბრძანება გაცემულია სარდლობის უმაღლეს დონეზე;
- ii. მოწინააღმდეგეთა ძალებს მიეცათ წინასწარი გაფრთხილება 1(b) ქვეპუნქტში მითითებული ქონების გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნით;
- iii. მოწინააღმდეგეთა ძალებს მიეცათ შესაბამისი დრო სიტუაციის რეგულირების მიზნით.

მუხლი 14 – გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მოქმედების შეჩერება და გაუქმება

1. იმ შემთხვევაში თუ კულტურული ფასეულობა აღარ აკმაყოფილებს ამ ოქმის მე-10 მუხლში მითითებულ კრიტერიუმებს, კომიტეტს შეუძლია შეაჩეროს გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მოქმედება ან გააუქმოს ეს რეჟიმი ამ ქონების ნუსხიდან ამოღების გზით.
2. გაძლიერებული დაცვის რეჟიმის ქვეშ არსებული კულტურულ ფასეულობათა მიმართ მე-12 მუხლის სერიოზული დარღვევის, კერძოდ ამ ქონების საომარი ოპერაციაში გამოყენების შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია შეაჩეროს გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მოქმედება, ხოლო დარღვევათა განმეორების შემთხვევაში, გააუქმოს გაძლიერებული დაცვის რეჟიმი კულტურულ ფასეულობათა ნუსხიდან ამოღების გზით.
3. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ გაუგზავნის გაეროს გენერალურ მდივანს და ამ ოქმის მონაწილე ყველა მხარეს შეტყობინებას კომიტეტის მიერ გაძლიერებული დაცვის რეჟიმის შეჩერებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.
4. გადაწყვეტილების მიღებამდე, კომიტეტი მხარეებს მისცემს თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობას.

თავი 4 – სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და იურისდიქცია

მუხლი 15 – ოქმის დებულებათა სერიოზული დარღვევა

1. პირი ჩადის სამართალდარღვევას წინამდებარე ოქმის ფარგლებში, თუ იგი განზრახ და კონვენციის ან ოქმის დარღვევით, ანხორციელებს ქვემოთ მოცემულ შემდეგ ქმედებებს:
 - a. საომარი შეტევის განხორციელება გაძლიერებული დაცვის ქვეშ არსებულ კულტურულ ფასეულობებზე;
 - b. გაძლიერებული დაცვის ქვეშ არსებული კულტურული ფასეულობის ან მისი მიმდებარე ტერიტორიის გამოყენება საომარ ოპერაციებში;
 - c. კონვენციით ან წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული კულტურულ ფასეულობათა მასობრივი განადგურება ან მითვისება;
 - d. შეტევის განხორციელება კონვენციით ან წინამდებარე ოქმით გათვალისწინებულ კულტურულ ფასეულობებზე;
 - e. კონვენციით გათვალისწინებული კულტურული ფასეულობის ქურდობა, მარცვა ან მითვისება ან ამ ქონების წინააღმდეგ განხორციელებული ვანდალური აქტი;
2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ ზომებს თავის კანონმდებლობაში ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა კრიმინალიზაციისა და მათთვის შესაბამის სასჯელთა დადგენის მიზნით. მხარეები დაიცავენ სამართლის ზოგად პრინციპებს და საერთაშორისო სამართალს, იმ ნორმების ჩათვლით, რომლებიც აწესებს ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არა მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებსაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში.

მუხლი 16 – იურისდიქცია

1. მე-2 პუნქტის დებულებათა შეუზღუდავად, თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ზომებს მე-15 მუხლში მითითებულ დანაშაულებზე თავისი იურისდიქციის დაწესების მიზნით შემდეგ შემთხვევებში:
 - a. თუ ასეთი დანაშაული ჩადენილ იქნა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
 - b. თუ დანაშაულის ჩამდენი პირი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა;
 - c. თუ (a)-(c) პუნქტებში მითითებული დანაშაულებათა ჩამდენი პირი იმყოფება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
2. კონვენციის 28-ე მუხლის შეუზღუდავად და იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებით:
 - a. ეს ოქმი არ გამოიცხადებს ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის დაკისრებას ან იურისდიქციის განხორციელებას ეროვნული და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ასევე არ ზღუდავს იურისდიქციის განხორციელებას საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით;
 - b. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს, რომელიც არ წარმოადგენს ამ ოქმის მხარეს შეუძლია მიიღოს და გამოიყენოს მისი დებულებები მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეიარაღებული ძალების წევრებს და იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომელიც არ წარმოადგენს ამ ოქმის მხარეს, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომლებიც მსახურობენ იმ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში, რომელიც ამ ოქმის მხარეა, არ დაეკისრებათ ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ ოქმის საფუძველზე. ეს ოქმი არ ითვალისწინებს ასევე იურისდიქციის დაწესების ვალდებულებას ასეთ პირებზე ან მათ ექსტრადიციას.

მუხლი 17 – სამართლებრივი დევნის განხორციელება

1. მხარე, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდება მე-15 მუხლის 1 (a)-(c) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებათა ჩამდენი პირი, თუ ეს მხარე არ აპირებს ამ პირის ექსტრადირებას, ყოველგვარი გამონაკლისისა და გაჭიანურების გარეშე საქმეს გადასცემს კომპეტენტურ ორგანოებს სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, თავისი შიდა კანონმდებლობის ან საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.
2. საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმების შეუზღუდავად, ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც კონვენციის ან ამ ოქმის საფუძველზე ხორციელდება სამართლებრივი დევნა, უზრუნველყოფილი იქნება სამართლიანი მოპყრობითა და სამართლიანი სასამართლო უფლებით სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, და მისთვის მინიჭებული გარანტიები არ იქნება უფრო ნაკლებ ხელსაყრელი ვიდრე ის გარანტიები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით.

მუხლი 18 – ექსტრადიცია

1. მე-15 მუხლის 1 (a)-(c) ქვეპუნქტებში მითითებული დანაშაულები მხარეთა შორის ექსტრადიციის შესახებ არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში შევა როგორც ექსტრადირებადი დანაშაულებრივი წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლამდე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ასეთი დანაშაულები შეიტანონ ექსტრადიციის შესახებ ყველა იმ ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდება მათ შორის შემდგომ ეტაპზე.
2. თუ მხარე, რომელიც ექსტრადიციის განხორციელების საფუძველად მიიჩნევს ხელშეკრულებას ექსტრადიციის შესახებ, მიიღებს ექსტრადირების შესახებ მოთხოვნას იმ მხარისაგან, რომელთანაც მას არა აქვს ასეთი ხელშეკრულება, მოთხოვნის მიმღებ მხარეს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, წინამდებარე ოქმი მიიჩნიოს ექსტრადიციის განხორციელების იურიდიულ საფუძველად მე-15 მუხლის 1 (a)-(c) ქვეპუნქტებში მითითებულ დანაშაულებებთან დაკავშირებით.
3. მხარეები, რომლებიც ექსტრადიციის განხორციელების საფუძველად არ მიიჩნევენ შესაბამისი ხელშეკრულების არსებობას, მე-15 მუხლის 1 (a)-(c) ქვეპუნქტებში მითითებულ დანაშაულებს

განიხილავენ როგორც ექსტრადირებადს, მოთხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. მხარეთა შორის ექსტრადიციის განხორციელების მიზნებისათვის, მე-15 მუხლის 1 (a)-(c) ქვეპუნქტებში მითითებული დანაშაულები განიხილება ისე, თითქოს ისინი ჩადენილ იქნა არა მხოლოდ იმ ადგილზე, სადაც მათ სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, არამედ ასევე მხარეთა იმ ტერიტორიაზე, რომლებმაც იურისდიქცია დააწესეს მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 19 – ორმხრივი იურიდიული დახმარება

1. მხარეები მნიშვნელოვნად დაეხმარებიან ერთმანეთს მე-15 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებებთან დაკავშირებით აღძრული გამოძიების, სისხლისსამართლებრივ ან ექსტრადიციის პროცედურათა წარმოებაში, ასევე აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვებაში.

2. მხარეები პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს განახორციელებენ ორმხრივი იურიდიული დახმარების შესახებ მათ შორის მოქმედი ხელშეკრულებების ან სხვა შეთანხმებების საფუძველზე. ასეთი ხელშეკრულებების ან შეთანხმებების არარსებობის შემთხვევაში, მხარეები დახმარებას გაუწევენ ერთმანეთს თავიანთი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20 – უარის თქმის საფუძველი

1. ექსტრადიციის მიზნებისათვის მე-15 მუხლის 1 (a)-(c) პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულები და ორმხრივი იურიდიული დახმარების მიზნებისათვის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები არ ჩაითვლება პოლიტიკურ დანაშაულებად, ასევე პროლიტიკურ დანაშაულებთან დაკავშირებულ ან პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევ დანაშაულებად. აქედან გამომდინარე, უარი ექსტრადიციასთან ან ორმხრივი იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით წარდგენილ მოთხოვნაზე არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ იმ საფუძველს, რომ მოთხოვნა შეეხება პოლიტიკურ დანაშაულს, ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ ან პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევ დანაშაულს.

2. წინამდებარე ოქმის არც ერთი პუნქტი არ განიმარტება ისე, თითქოს იგი ექსტრადირების ან ორმხრივი იურიდიული დახმარების გაწევის ვალდებულებას აკისრებდეს მოთხოვნის მიმღებ მხარეს, თუ მას აქვს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ექსტრადირების მოთხოვნა მე-15 მუხლის 1 (a)-(c) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების შემთხვევაში ან იურიდიული დახმარების მოთხოვნა მე-15 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების შემთხვევაში, წარდგენილ იქნა რელიგიური შეხედულებების, რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების ან პოლიტიკური მსოფლმხედველობის მოტივით პირის სამართალში მიცემის ან მისთვის სასჯელის დაკისრების მიზნით, ან თუ ამ მოთხოვნის შესრულება ზიანს მიაყენებს პირის მდგომარეობას ნებისმიერი ზემოაღნიშნული მიზეზის გამო.

მუხლი 21 – სხვა დარღვევებთან დაკავშირებით მიღებული ზომები

კონვენციის 28-ე მუხლის შეუზღუდავად, თითოეული მხარე მიიღებს საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან დისციპლინარულ ზომებს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებების აღკვეთის მიზნით:

- a. კულტურულ ფასეულობათა გამოყენება კონვენციის ან ამ ოქმის დარღვევით;
- b. ოკუპირებული ტერიტორიიდან კულტურულ ფასეულობათა უკანონო ექსპორტი, სხვა სახით გატანა ან მასზე მფლობელობის გადაცემა კონვენციის ან ამ ოქმის დარღვევით.

თავი 5 – კულტურულ ფასეულობათა დაცვა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში

მუხლი 22 – არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტები

1. წინამდებარე ოქმი გამოიყენება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, რომელსაც ადგილი აქვს ერთ–ერთი მხარის ტერიტორიაზე.
2. წინამდებარე ოქმი არ გამოიყენება შიდა არეულობებისა და დამაბულობების შემთხვევაში, როგორცაა ამბობება, ძალადობის ცალკეული და შემთხვევითი აქტები და სხვა ანალოგიური ქმედებები.
3. წინამდებარე ოქმის არცერთი პუნქტი არ გამოიყენება სახელმწიფოს სუვერენიტეტის ან მთავრობის ვალდებულების შეზღუდვის მიზნით ყველა კანონიერი საშუალებით შეინარჩუნოს ან აღადგინოს კანონიერება და წესრიგი ან დაიცვას სახელმწიფოს ეროვნული მთლიანობა და ტერიტორიული ერთიანობა.
4. ამ ოქმის არც ერთი პუნქტი არ ზღუდავს მე–15 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებაში პირველადი იურისდიქციის განხორციელების უფლებას იმ მხარის მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი აქვს არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტს.
5. ამ ოქმის არცერთი პუნქტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შეიარაღებულ კონფლიქტში ან იმ მხარის საშინაო თუ საგარეო საქმეებში პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის საფუძველი, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი აქვს კონფლიქტს.
6. ამ ოქმის გამოყენება პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ ზღუდავს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა იურიდიულ სტატუსს.
7. UNESCO–ს შეუძლია თავისი მომსახურეობა შესთავაზოს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს.

თავი 6 – ინსტიტუციონალური საკითხები

მუხლი 23 – მხარეთა სხდომა

1. მხარეთა სხდომა მოიწვევა UNESCO–ს საერთო კონფერენციასთან ერთად, უმაღლეს ხელშემკვრელ მხარეთა სხდომასთან კოორდინირებით, თუ ეს სხდომა მოწვეულია გენერალური დირექტორის მიერ.
2. მხარეთა სხდომა მიიღებს თავის საპროცედურო წესებს.
3. მხარეთა სხდომა შეასრულებს შემდეგ ფუნქციებს:
 - (a) კომიტეტის წევრთა არჩევა, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;
 - (b) კომიტეტის მიერ შემუშავებული დირექტივების მხარდაჭერა 27-ე მუხლის 1(ა) ქვეპუნქტის შესაბამისად;
 - (c) ზედამხედველობის განხორციელება კომიტეტის მიერ ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე;
 - (d) კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა 27-ე მუხლის 1(d) ქვეპუნქტის შესაბამისად;
 - (e) ამ ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების წარმოდგენა;
4. მხარეთა არანაკლებ ერთი-მეხუთედის მოთხოვნით, გენერალური დირექტორი იწვევს მხარეთა საგანგებო სხდომას.

მუხლი 24 – შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის კომიტეტი

1. ამ ოქმის საფუძველზე იქმნება შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის კომიტეტი. ის შედგება თორმეტი მხარისაგან, რომლებიც აირჩევიან მხარეთა სხდომის მიერ.
2. კომიტეტის ჩვეულებრივი სხდომა ჩატარდება წელიწადში ერთხელ, ხოლო საგანგებო სხდომები მოიწვევა იმ შემთხვევაში, თუ ამას კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს.
3. კომიტეტის შემადგენლობის განსაზღვრისას მხარეები შეეცდებიან კომიტეტში თანაბრად იყოს

წარმოდგენილი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონები.

4. კომიტეტის წევრი მხარეები თავიანთ წარმომადგენლებად აირჩევენ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ კვალიფიციური ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის, ამ მემკვიდრეობის დაცვის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში, და ისინი შეეცდებიან, ერთმანეთთან კონსულტაციის გზით, უზრუნველყონ კომიტეტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ყველა ზემოაღნიშნულ სფეროში.

მუხლი 25 - საქმიანობის ვადა

1. მხარე კომიტეტის წევრად აირჩევა 4 წლის ვადით და მისი არჩევა მომდევნო ვადით შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

2. მიუხედავად პირველი პუნქტის დებულებებისა, პირველი ვადით არჩეულ წევრთა ნახევარი თავისი მოვალეობების შესრულებას დაასრულებს მხარეთა პირველი რიგითი სხდომის ბოლოს, რომელიც გაიმართება იმ სხდომის შემდგომ, რომელზეც ისინი იქნენ არჩეულნი. ეს წევრები აირჩევიან კრების თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის საფუძველზე, პირველი არჩევნების შემდგომ.

მუხლი 26 - საპროცედურო წესები

1. კომიტეტი იღებს თავის საპროცედურო წესებს.

2. წევრთა უმრავლესობა ქმნის ქვორუმს. კომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ორი-მესამედის უმრავლესობით.

წევრები მონაწილეობას არ მიიღებენ კენჭისყრაში, რომელიც ტარდება გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზიანებული იმ კულტურულ ფასეულობებთან დაკავშირებით, რომლის მონაწილე მხარეებსაც წარმოადგენენ ეს წევრები.

მუხლი 27 – ფუნქციები

1. კომიტეტი შეასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

a. დირექტივების შემუშავება ამ ოქმის განხორციელების მიზნით;

b. კულტურული ფასეულობათა გაძლიერებული დაცვის რეჟიმის მინიჭება, დროებით შეჩერება ან გაუქმება და გაძლიერებული დაცვის ქვეშ არსებული კულტურულ ფასეულობათა ნუსხის შედგენა, შენარჩუნება და შევსება;

c. ოქმის იმპლემენტაციის პროცესზე მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელება და გაძლიერებული დაცვის ქვეშ არსებული კულტურულ ფასეულობათა განსაზღვრა;

d. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა და მათზე კომენტარების გაკეთება, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის დაზუსტება და ამ ოქმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით საკუთარი ანგარიშის მომზადება მხარეთა სხდომისთვის წარდგენის მიზნით;

e. 32-ე მუხლის შესაბამისად საერთაშორისო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოთხოვნების მიღება და განხილვა;

f. ფონდის გამოყენების განსაზღვრა;

g. მხარეთა სხდომის მიერ მისთვის დაკისრებული ნებისმიერი სხვა ფუნქციის შესრულება.

2. კომიტეტი თავის ფუნქციებს შეასრულებს გენერალურ დირექტორთან თანამშრომლობის გზით.

3. კომიტეტი ითანამშრომლებს იმ საერთაშორისო და ეროვნულ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა მიზნები კონვენციით, პირველი და მეორე ოქმებით განსაზღვრული მიზნების მსგავსია. თავისი ფუნქციების უკეთ განხორციელების მიზნით, კომიტეტს შეუძლია თავის სხდომებზე კონსულტანტის რანგში მოიწვიოს ისეთი ცნობილი პროფესიული ორგანიზაციები, რომლებსაც ოფიციალური ურთიერთობები აქვთ იუნესკოსთან, მათ შორის ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტთან (ICBS) და მის დამფუძნებელ ორგანოებთან. კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და აღდგენის საკითხთა შესწავლის საერთაშორისო ცენტრისა (რომის ცენტრი) (ICCROM) და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) წარმომადგენლები შესაძლებელია მოწვეულ იქნენ

სხდომაზე დასასწრებლად კონსულტანტთა რანგში.

მუხლი 28 – სამდივნო

კომიტეტს დახმარებას გაუწევს UNESCO–ს სამდივნო, რომელიც მოამზადებს კომიტეტის დოკუმენტაციას და მისი სხდომების დღის წესრიგს და პასუხისმგებელი იქნება მისი გადაწყვეტილებების განხორციელებაზე.

მუხლი 29 – შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის ფონდი

1. წინამდებარე ოქმის საფუძველზე იქმნება ფონდი შემდეგი მიზნებისათვის:

a. ფინანსური ან სხვა სახის დახმარების გაწევა მშვიდობიანობის პერიოდში წინასწარი ან სხვა სახის ზომების გატარების მიზნით მე–5 მუხლის, მე–10 მუხლის (b) ქვეპუნქტის და 30–ე მუხლის შესაბამისად; და

b. ფინანსური ან სხვა სახის დახმარების გაწევა გადაუდებელი, დროებითი თუ სხვა სახის ზომების გატარების მიზნით, რომლებიც მიზნად ისახავს კულტურულ ფასეულობათა დაცვას შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში ან მის დაუყოვნებლივ აღდგენას საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ მე–8 მუხლის (a) ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. ფონდი წარმოადგენს სატრასტო ფონდს UNESCO–ს ფინანსური განაწესის შესაბამისად.

3. ფონდიდან გამოყოფილი თანხები გამოიყენება მხოლოდ კომიტეტის მიერ განსაზღვრული მიზნებისათვის 23–ე მუხლის 3(c) ქვეპუნქტში მითითებული დირექტივების შესაბამისად. კომიტეტმა შეიძლება მიიღოს შენატანები, რომლებიც გამოიზულა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული პროგრამის ან პროექტის დასაფინანსებლად, იმ პირობით, თუ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ასეთი პროგრამის ან პროექტის განხორციელება.

4. ფონდის რესურსები შედგება:

a. მხარეთა ნებაყოფლობითი შენატანებისაგან;

b. შენატანების, საჩუქრების ან შემოწირულობებისაგან, რომლებიც ხორციელდება:

(i) სხვა სახელმწიფოთა მიერ;

(ii) UNESCO–ს ან გაეროს სისტემის სხვა ორგანიზაციების მიერ;

(iii) სხვა სამთავრობათშორისი ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; და

(iv) სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციების ან ფიზიკური პირების მიერ.

c. ფონდისთვის დარიცხული ნებისმიერი პროცენტისაგან;

d. ფონდის შევსების მიზნით მოწყობილი ღონისძიებებიდან შემოსული სახსრებისაგან; და

e. ფონდის დებულებით ნებადართული ყველა სხვა რესურსებისაგან.

თავი 7 – ინფორმაციის გავრცელება და საერთაშორისო დახმარება

მუხლი 30 – გავრცელება

1. მხარეები შეეცდებიან შესაბამისი საშუალებებით და განსაკუთრებით საგანმანათლებლო და ინფორმაციული პროგრამების განხორციელების გზით გააძლიერონ მოსახლეობაში კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა.

2. მხარეები უზრუნველყოფენ ამ ოქმის შეძლებისდაგვარად ფართო გავრცელებას როგორც მშვიდობიანობის ისე შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში.

3. ნებისმიერი სამოქალაქო თუ სამხედრო ხელისუფლება, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში დაეკისრება ამ ოქმის გამოყენების ვალდებულება, მთლიანად უნდა გაეცნოს ოქმის ტექსტს. ამ მიზნით, მხარეები:

(a) კულტურულ ფასეულობათა დაცვასთან დაკავშირებულ დირექტივებსა და ინსტრუქციებს

შეიტანენ თავიანთ სამხედრო წესდებებში;

(b) UNESCO–სა და შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, მშვიდობიანობის პერიოდში განავითარებენ და განახორციელებენ სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამებს;

(c) გენერალური დირექტორის მეშვეობით ერთმანეთს გადასცემენ ინფორმაციას კანონების, ადმინისტრაციული აქტებისა და (a) და (b) ქვეპუნქტების შესაბამისად განხორციელებული ზომების შესახებ.

(d) გენერალური დირექტორის მეშვეობით შეძლებისდაგვარად სწრაფად მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას იმ კანონებისა და ადმინისტრაციული აქტების შესახებ, რომლებიც მათ შეიძლება მიიღონ ოქმის განხორციელების მიზნით.

მუხლი 31 – საერთაშორისო თანამშრომლობა

ამ ოქმის დებულებათა სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას იმოქმედონ ერთობლივად კომიტეტის საშუალებით, ან ინდივიდუალურად, UNESCO–სა და გაეროსთან თანამშრომლობის გზით, და გაეროს წესდების შესაბამისად.

მუხლი 32 – საერთაშორისო დახმარება

1. მხარეს შეუძლია კომიტეტს მიმართოს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნით, რომლებიც გამიზნულია გაძლიერებული დაცვის ქვეშ არსებული კულტურული ფასეულობებისთვის, და ასევე მოითხოვოს დახმარება მე–10 მუხლში მითითებული კანონების ადმინისტრაციული აქტებისა და ზომების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

2. კონფლიქტში მონაწილე მხარეს, რომელიც არ არის ამ ოქმის მხარე, მაგრამ აღიარებს და იყენებს მის დებულებებს მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია კომიტეტს მიმართოს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნით.

3. კომიტეტი შეიმუშავებს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის წარდგენის წესს და განსაზღვრავს საერთაშორისო დახმარების ფორმებს.

4. მხარეებს შეუძლიათ კომიტეტის საშუალებით ყველა სახის ტექნიკური დახმარება გაუწიონ იმ მხარეებს ან კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, რომლებიც ითხოვენ ასეთ დახმარებას.

მუხლი 33 – UNESCO–ს მიერ გაწეული დახმარება

1. მხარეს შეუძლია მიმართოს UNESCO–ს ტექნიკური დახმარების მოთხოვნით, რომელიც მოხმარდება ამ მხარის კულტურულ ფასეულობათა დაცვის ორგანიზებას, კერძოდ, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, გადაუდებელ შემთხვევებში პრევენციული და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას და კულტურულ ფასეულობათა აღნუსხვას (ეროვნული ნუსხის შედგენა), ეს დახმარება მოხმარდება ასევე ამ ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი სხვა პრობლემის მოგვარებას. UNESCO–ს დახმარება განხორციელდება მის მიერ შემუშავებული პროგრამის ან მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში.

2. მხარეები ტექნიკურ დახმარებას განახორციელებენ ორმხრივ ან მრავალმხრივ დონეზე.

3. UNESCO–ს უფლება აქვს თავისი ინიციატივით წარუდგინოს მხარეებს წინადადებები ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

თავი 8 – ოქმის განხორციელება

მუხლი 34 – მფარველი სახელმწიფოები

ოქმი განხორციელდება მფარველ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გზით, რომლებიც

პასუხისმგებლები არიან კონფლიქტში მონაწილე მხარეთა ინტერესების დაცვაზე.

მუხლი 35 – მორიგების პროცედურა

1. მფარველი სახელმწიფოები შეასრულებენ შუამავლის როლს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს კულტურულ ფასეულობათა დაცვის ინტერესები, განსაკუთრებით თუ კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის არსებობს უთანხმოება ამ ოქმის დებულებათა გამოყენებასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.
2. ამ მიზნით, თითოეულ მფარველ სახელმწიფოს შეუძლია, ერთერთი მხარის ან გენერალური დირექტორის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, შესთავაზოს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შეხვედრის მოწყობა თავიანთ წარმომადგენელთა და განსაკუთრებით იმ ორგანოთა მონაწილეობით, რომლებიც პასუხს აგებენ კულტურულ ფასეულობათა დაცვაზე, იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც არ წარმოადგენს კონფლიქტში მონაწილე მხარეს. კონფლიქტში მონაწილე მხარეები ვალდებული არიან მსვლელობა მისცენ სხდომის მოწყობასთან დაკავშირებით მათთვის მიწოდებულ წინადადებებს. მფარველი სახელმწიფოები კონფლიქტში მონაწილე მხარეებს დასამტკიცებლად წარუდგენენ კონფლიქტში არამონაწილე სახელმწიფოს მოქალაქის ან გენერალური დირექტორის მიერ დასახელებული პირის კანდიდატურას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სხდომაში სხდომის თავმჯდომარის სტატუსით.

მუხლი 36 – მორიგება მფარველი სახელმწიფოების არარსებობის შემთხვევაში

1. მფარველი სახელმწიფოების არარსებობის შემთხვევაში, უთანხმოების გადაწყვეტის მიზნით მომრიგებლის ან შუამავლის ფუნქციას იკისრებს გენერალური დირექტორი.
2. ერთ-ერთი მხარის ან გენერალური დირექტორის მოთხოვნით, კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია შესთავაზოს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შეხვედრის მოწყობა თავიანთ წარმომადგენელთა და განსაკუთრებით იმ ორგანოთა მონაწილეობით, რომლებიც პასუხს აგებენ კულტურულ ფასეულობათა დაცვაზე, იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც არ წარმოადგენს კონფლიქტში მონაწილე მხარეს.

მუხლი 37 – თარგმანების შესრულება და ანგარიშების წარდგენა

1. მხარეები უზრუნველყოფენ წინამდებარე ოქმის თარგმნას თავიანთ ოფიციალურ ენებზე და ოფიციალურ თარგმანებს გადასცემენ გენერალურ დირექტორს.
2. მხარეები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ გადასცემენ კომიტეტს ანგარიშს ოქმის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 38 – სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა

ამ ოქმის არც ერთი პუნქტი ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არ ახდენს გავლენას სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, კომპენსაციის გადახდის ვალდებულების ჩათვლით.

თავი 9 – დასკვნითი დებულებები

მუხლი 39 – ენები

ეს ოქმი შედგენილია არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ და ჩინურ ენებზე, ამასთან ექვსივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

მუხლი 40 – ხელმოწერა

ეს ოქმი დათარიღებულია 1999 წლის 26 მაისით. ოქმი ღიაა ხელმოსაწერად მაღალ ხელშემკვრელ მხარეთათვის ჰააგაში, 1999 წლის 17 მაისიდან 1999 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 41 – რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება

1. ეს ოქმი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას იმ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა მიერ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ოქმს, თავიანთ ქვეყნებში მოქმედი კონსტიტუციონალური პროცედურების შესაბამისად.
2. სარატიფიკაციო სიგელები, ასევე მიღების ან დამტკიცების აქტები შესაძლებელია გადაეცემა გენერალურ დირექტორს.

მუხლი 42 – მიერთება

1. ეს ოქმი ღიაა მიერთებისათვის მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა მიერ 2000 წლის 1 იანვრიდან.
2. მიერთება ძალაში შევა მიერთების აქტის გენერალური დირექტორისათვის შესაძლებელია გადაცემის გზით.

მუხლი 43 – ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შევა ოცი სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დეპოზიტზე გადაცემიდან სამი თვის შემდეგ.
2. ამის შემდგომ, ოქმი თითოეული მხარისათვის ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის შესაძლებელია გადაცემიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 44 – ძალაში შესვლა შეიარაღებული კონფლიქტის დროს

კონვენციის მე-18 და მე-19 მუხლებში მითითებულ შემთხვევებში, კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მიერ საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დაწყებამდე ან მის შემდგომ გადაცემული სარატიფიკაციო სიგელები, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტები დაუყოვნებლივ შევა ძალაში. ასეთ შემთხვევებში, გენერალური დირექტორი 46-ე მუხლში მითითებულ შეტყობინებებს გადააგზავნის დაჩქარებული წესით.

მუხლი 45 – დენონსაცია

1. თითოეულ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ოქმის დენონსაცია.
2. დენონსაციის შესახებ ცნობილი გახდება წერილობითი აქტის საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია გადაეცემა გენერალურ დირექტორს.
3. დენონსაცია ძალაში შევა დენონსაციის აქტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, თუ ამ პერიოდის გასვლის შემდგომ, დენონსაციის განმარტებული მხარე კვლავ აღმოჩნდება ჩართული შეიარაღებულ კონფლიქტში, დენონსაცია ძალაში არ შევა საომარი მოქმედებების დასრულებამდე ან მანამ, სანამ არ დასრულდება კულტურულ ფასეულობათა დაბრუნების ოპერაციები, რომელი თარიღიც უფრო გვიანდელია.

მუხლი 46 – შეტყობინებები

გენერალური დირექტორი მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს და ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აცნობებს 41-ე და 42-ე მუხლებში მითითებული სარატიფიკაციო სიგელების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტების და 45-ე მუხლში მითითებული დენონსაციის აქტების დეპონირების შესახებ.

მუხლი 47 – რეგისტრაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, ამ ოქმის რეგისტრაცია განხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში, გენერალური დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემოთ ხელისმომწერი, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილნი, ხელს აწერენ წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია ჰააგაში, 1999 წლის ოცდაექვს მაისს, ერთ ეგზემპლარად, რომელიც შესანახად გადაეცემა UNESCO-ს არქივს და რომლის დამოწმებული ასლებიც დაურიგდებათ მაღალ ხელშემკვერელ მხარეებს.